ამირანის მხატვრული სახე – გზა ფოლკლორიდან ლიტერატურამდე

ARTISTIC IMAGE OF AMIRANI – THE PATH FROM FOLKLORE TO LITERATURE

ქეთევან სიხარულიძე

Ketevan Sikharulidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ამირანის ეპოსი, ფოლკლორი, მითი, ლიტერატურა
Keywords: Amirani epic, folklore, myth, literature

ამირანის ეპოსი უძველესი წარმოშობისაა. ანტიკური ხანის ავტორებთან გვხვდება ცნობები, რომ კავკასიაში არსებობდა თქმულება მიჯაჭვული გოლიათის შესახებ. დროთა განმავლობაში მან გარკვეული ცვლილებები განიცადა. სავარაუდოდ, ამირანის ამბავი თავდაპირველად შეიქმნა, როგორც მითი, რომელშიც აისახა დაპირისპირებულთა ბრძოლის უნივერსალური მოდელი. მოგვიანებით ჩამოყალიბდა თქმულებათა ციკლი, რომელმაც საბოლოოდ ეპოსის სახე მიიღო.

არქაულ პლასტებს შეერია შედარებით ახალი მოტივები, რამაც განაპირობა მთავარი პერსონაჟის წინააღმდეგობრივი ხასიათი. დღეს ძნელია იმის დადგენა, რა ცვლილებები მოხდა ტექსტის შინაარსსა და სტრუქტურაში, რადგან თქმულების ჩანაწერები მოგვეპოვება XIX საუკუნიდან. ამ პერიოდიდან იწყება ხალხური ეპოსის ტექსტში ჩარევა. ზოგჯერ პუბლიკაციების ავტორები თვითნებურად ცვლიდნენ ჩანაწერს, რედაქტირებული ტექსტი კი გავლენას ახდენდა თხზულებაზე და მის ცალკეულ მოტივზე.

საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობამ განაპირობა ამირანის სახის ახლებური გააზრება. ამ დროს დაიწყო მიჯაჭვული გმირის გაიდეალება და მისი გათავისუფლება სოციალური თანასწორობის აღდგენას დაუკავშირდა. ეროვნული ძირების წარმოსაჩენად საჭირო გახდა საერთო ქართველური გმირის სახე, რომელსაც სიმბოლური დატვირთვა ექნებოდა. სწორედ ამან განაპირობა ამირანის ზოგადქართულ სახალხო გმირად გადაქცევა. მე-20 საუკუნემ მემკვიდრეობით მიიღო ამირანის გამორჩეული გმირული პათოსი და სამშობლოს თავისუფლების იდეის მატარებელ სახედ დამკვიდრდა ქართულ ლიტერატურაში.

ლიტერატურა:

კიკნაძე, ზ. (2001). ქართული ხალხური ეპოსი. თბილისი: გამომცემლობა „ლოგოს პრესი“.

სიხარულიძე, ქ. (2006). კავკასიური მითოლოგია. თბილისი: კავკასიური სახლის გამომცემლობა.

ჩიქოვანი, მ. (1959). ქართული ეპოსი, I. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

ჩხეიძე, რ. (1991). ამირანის თქმულება. თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“.

The Amirani epic is of ancient origin. Ancient authors noted that there was a legend about a chained Goliath in the Caucasus. Over time he has undergone some changes. Presumably, Amirani's story was created as a myth that reflected a universal model of adversarial struggle. A cycle of legends later formed, which eventually took the form of an epic.

Archaic layers are mixed with relatively new motifs, which led to the controversial character of the main hero. It is difficult to determine what changes have taken place in the content and structure of the text, as records of the narrative date back to the 19th century. It is from this period that interference with the text of the folk epic begins. Sometimes the authors of the publications arbitrarily changed the record, and the edited text influenced the work and its motifs.

The rise of the national liberation movement in Georgia has led to a new understanding of Amirani. It was at this time that the chained hero began to be ostracized, and his release was linked to the restoration of social equality. To present the national roots, it became necessary to have the image of a common Kartvelian hero, which would have a symbolic meaning. This was the reason why Amirani became a general Georgian hero. The 20th century inherited Amirani's distinctive heroic pathos and became the bearer of the idea of freedom of the homeland in Georgian literature.

References:

Kiknadze, Z. (2001). Kartuli xalxuri eposi. [Georgian Folk Epic]. Tbilisi: Logos Press Publishing House

Sikharulidze, K. (2006). Kavkasiuri mitologia. [Caucasian Mythology]. Tbilisi: Caucasian house publishing.

Chikovani, M. (1959). Kartuli eposi, I. [Georgian Epic]. Tbilisi: Publishing House of the Georgian Academy of Sciences.

Chkheidze, R. (1991). Amiranis tkmuleba. [The story of Amirani]. Tbilisi: Nakaduli Publishing House.